დანართი #3

დამტკიცებულია
ბრძანება # ----------
სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ მოდუსის" დირექტორი
----------კ. კერვალიშვილი

სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ზეინკალ-სანტექნიკოსი

საკონტაქტო ინფორმაცია
მისამართი: რუსთავი შარტავას 4

ტელ. 0341252041, 577900403
ვებ.გვერდი www. modusi.ge

პროგრამის ხელმძღვანელი
პედაგოგი ავთანდილ ქურცაძე

რუსთავი

2017

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი

I. **სახელწოდება:**ზეინკალ-სანტექნიკოსი

II. **სარეგისტრაციო ნომერი:**07303-პ

III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. **საკანონმდებლო ბაზა:**

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ზეინკალ-საქნტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი

V. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება

VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სარემონტო-სამშენებლო კომპანიებში, სამრეწველო ობიექტებზე, ინდივიდუალურ მშენებლობებსა და მუნიციპალურ სისტემების მომსახურების სფეროში, ან/და გახდეს ინდივიდუალური მეწარმე.

VII. **პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია მოამზადოს სრულყოფილი კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომელიც ხანძარსაწინააღმდეგო,შრომისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით დამოუკიდებლად შეძლებს დაამონტაჟოს: შენობის შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები, სანტექნიკური მოწყობილობები და სხვადასხვა სახის თბომომარაგების სისტემები, ასევე აწარმოოს შენობის სანტექნიკური სისტემების შემოწმება, გაუმართაობების გამოვლენა და აღმოფხვრა.

VIII. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სანტექნიკურ-საზეინკლო ოპერაციების შესრულება
- სამშენებლო ნახაზების კითხვა და სამშნებლო სანტექნიკური სქემების შედგენა
- შენობის შიდა წყალმომარაგება
- შენობის შიდაწყალარინება
- თბომომარაგება

IX. **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.
ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მისაღებად:

- **იმ სტუდენტებმა, რომელთაც პროფესიული ტესტირება გაიარეს ქართულ ენაზე** უნდა დააგროვონ **ჯამურად 71 კრედიტი,** რომელთაგან **16** კრედიტი არის სავალდებულო ზოგადი მოდულები, **55** კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები, სწავლის ხანგრძლივობა **15 სასწავლო თვე.**
- **იმ სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტესტირება რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ჯამურად უნდა დააგროვონ 86 კრედიტი,** რომელთაგან **31** კრედიტი არის სავალდებულო ზოგადი მოდულები (მათ შორის: **15** კრედიტი ქართული ენის A2 მოდული), **55** კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები. სწავლის ხანგრძლივობა **18 სასწავლო თვე.**

X. **პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:**

სავალდებულო ზოგადი მოდულები		**სავალდებულო პროფესიული მოდულები**		**არჩევითი პროფეს იული მოდულები***	
დასახელება	**კრ**	**დასახელება**	**კრ**	**დასახელება**	**კრ**
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	გაცნობითი პრაქტიკა-ზეინკალ-სანტექნიკოსი	2		
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-ზეინკალ-სანტექნიკოსი	8		
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	პრაქტიკული პროექტი-ზეინკალ-სანტექნიკოსი	5		
მეწარმეობა 1	2	საზეინკლო სამუშაოები სანტექნიკოსის საქმიანობაში	7		
უცხოური ენა	4	სამშენებლო ნახაზების კითხვა და სქემების შედგენა	3		
სამოქალაქო განათლება	2	შიდა წყალსადენი სისტემების მონტაჟი	5		
		შიდა წყალარინება	6		
		შრომისუსაფრთხოება და საწარმოო სანიტარია საზეინკლო საქმეში	2		
		წყალარინების ძირითადი ელემენტები	6		
		წყალმომარაგების ელემენტები	6		
		თბომომარაგება	5		
სულ:	**16**	**სულ:**	**55**	**სულ: 71**	
ქართული ენა A2	**15**			**სულ: 86**	

- „მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

XI. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსის“ პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.

იმ შემთხვეაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% -ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

XIV საავტორო უფლება: სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“

დანართი 1. “ზეინკალ-სანტექნიკოსის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
დანართი 2. “ზეინკალ-სანტექნიკოსის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი
დანართი 3. მოდული „ინფორმაციული წიგნიერება 1“
დანართი 4. მოდული „რაოდენობრივი წიგნიერება“
დანართი 5. მოდული „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“
დანართი 6. მოდული „მეწარმეობა 1“
დანართი 7. მოდული „უცხოური ენა“

დანართი 8. მოდული „სამოქალაქო განათლება“
დანართი 9. მოდული „გაცნობითი პრაქტიკა- „ზეინკალ-სანტექნიკოსი“
დანართი 10. მოდული „საწარმოო პრაქტიკა“-„ზეინკალ-სანტექნიკოსი“
დანართი 11. მოდული „პრაქტიკული პროექტი“- „ზეინკალ-სანტექნიკოსი“
დანართი 12. მოდული „საზეინკლო სამუშაოები სანტექნიკოსის საქმიანობაში“
დანართი 13. მოდული „სამშენებლო ნახაზების კითხვა და სქემების შედგენა“
დანართი 14. მოდული „ შიდა წყალსადენი სისტემების მონტაჟი“
დანართი 15. მოდული „შიდა წყალარინება“
დანართი 16. მოდული „შრომის უსაფრთხოება და საწარმოო სანიტარია საზეინკლო საქმეში“
დანართი 17. მოდული „წყალარინების ძირითადი ელემენტები“
დანართი 18. მოდული „წყალმომარაგების ელემენტები“
დანართი 19. მოდული „თბომომარაგება“
დანართი 20. მოდული „ქართული ენა A2“
დანართი 21 ქართული ენა სასწავლო გეგმა